ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4908142

ნომერი: AR1740633

თარიღი : 18.03.2020

გაცემის თარიღი : 20.03.2020

გაცნობის თარიღი : 20.03.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი N94;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ცინცაძე პ/ნ 01023007381
- ვ.კაკაბაძის ქ., №45

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს: თქვენს მიერ სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები ველში დაფიქსირებულია № 4518984 ბრძანება, რომლითაც ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, დავით გურამიშვილის გამზირი N94-ში, (ს/კ №01.12.01.003.173), გაიცა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის, შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან საპროექტო ობიექტი მშენებარეა და სამშენებლო სამუშაოები ჯერ არ დასრულებულა სამსახური ვერ იმსჯელებს თქვენი საქმის წარმოებასთან დაკავშირებით I კლასის კორექტირების კუთხით , ანუ არასწორად გაქვთ შერჩეული ნომენკლატურა .

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს თქვენს მიერ დაგეგმილ ცვლილებასთან დაკავშირებით საჭიროა შესაბამისი ცვლილების განხორციელების მიზნით დაარეგისტრიროთ ახალი განაცხადი

შეთანხმებული მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა IV კლასის ნომენკლატურით რომლითაც იქნა გაცემული მშენებლობის ნებართვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.